42
ი-53

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნანა ლევანის ასული ინაური

ანთროპონიმთა სისტემა თანამედროვე ინგლისურ ენაში

სპეციალობა 10.02.04
გერმანიკული ენები

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1999

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის რომანულ-გერმანიკული ფილოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნინო კირვალიძე

ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რუსუდან ენუქიძე

ოფიციალური ოპონენტები: 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ინესა მერაბიშვილი
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი თამარ შიოშვილი

წამყვანი ორგანიზაცია: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი.

დისერტაციის დაცვა შედგება „24" მაისს 1999წ 15 30 საათზე.

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P10.02.C №6 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა „19" აპრილს 1999წ.

Библиотека Тбилисского гос. педагогического института иностранных языков им. И. Чавчавадзе

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გ. წიბახაშვილი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება დეფინიციური მეთოდით ანთროპონიმთა ონომასიოლოგიური და სემასიოლოგიური ასპექტების შესწავლას და მათი ორგანიზების თავისებურებათა გამოვლენას თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკურ სისტემაში.

თემის აქტუალურობა განპირობებულია სამი ურთიერთდაკავშირებული ძირითადი ფაქტორით: 1) ცნობილია, ენის ლექსიკური შედგენილობა არ წარმოადგენს ცალკეულ ელემენტთა უბრალო ერთობლიობას; იგი არის სისტემა, სადაც თითოეულ სიტყვას, როგორც დამოუკიდებელ ნომინაციურ ერთეულს, ახასიათებს ენობრივი სტრუქტურის იგივე, ან სხვა დონის ერთეულებთან გარკვეული სემანტიკური კავშირები. სიტყვათა შორის ასეთი კავშირების დადგენა საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ და შევისწავლოთ ლექსიკის სისტემური სტრუქტურირების თავისებურებანი, რაც თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი მეთოდოლოგიური მოთხოვნაა [ა.რეი, ვ.ვინოგრადოვი, ა.უფიმცევა, ი.კარაულოვი, დ.შმელიოვი, და სხვ.]; 2) ლექსიკის სისტემური ორგანიზების კვლევის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საშუალებად მიჩნეულია ველის პრინციპის გამოყენება, რაც მისი ცალკეული უბნების შესწავლას გულისხმობს [პ.როჟე ვ.ფონ უართბურგი, პ.ჰალინგი, ი.ტრირი და სხვ.]. ჩვენ მიერ კვლევის ობიექტად ანთროპონიმთა არჩევა განპირობებულია, ერთი მხრივ იმით, რომ ადამიანი - სამყაროს ეს უნიკალური ქმნილება, ყოველთვის იყო, არის და იქნება მკვლევართა ყურადღების ცენტრში [ა.გარდინერი, ჯ.სერლი, ჰ.კონკლინი, ალ.ღლონტი, ზ.ჭუმბურიძე, გ.ლებანიძე და სხვ]; მეორე მხრივ, სხვადასხვა ლექსიკონთა ანალიზმა და სპეციალური ლიტერატურის განზოგადებამ ცხადყო, რომ ლინგვისტური თვალსაზრისით, ანთროპონიმები ქმნიან რა ისეთ სისტემას სისტემის შიგნით, რომელიც განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ხასიათდება, ლექსიკის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო პლასტს წარმოადგენს; 3) დღეისათვის სიტყვათა მნიშვნელობის შესწავლა დეფინიციური ტექსტების, ანუ სალექსიკონო განმარტებების გამოყენებით მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე ობიექტურ მეთოდად. იგი შესაძლებელს ხდის სიტყვათა სემანტიკურ სტრუქტურაში დაფიქსირდეს ყველა ის სემა, რომელთა საფუძველზეც ხდება ენის ლექსიკურ სისტემაში ამ ერთეულთა ინტეგრირება და დიფერენცირება.

-1681-

ნაშრომის სამეცნიერო სიახლეს განაპირობებს პრობლემის ასეთი კუთხით დასმა. იგი განისაზღვრება ორი ძირითადი მომენტით: 1) ანთროპონიმთა ცალკეული ჯგუფების ლოგიკურ-სემანტიკური ასპექტი არაერთგზის ყოფილა სპეციალური შესწავლის საგანი [ჯ.გრინბერგი, ფ.ლონსბრი, ა.კრობერი, ა.კუზნეცოვი, გ.კოშელი და სხვ.], მაგრამ მათი ონომასიოლოგიურ-სემასიოლოგიური რაკურსით მთლიანი სისტემის კომპლექსური ანალიზი ჯერ არ ჩატარებულა. სადისერტაციო ნაშრომში ტერმინი